საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030651697708120

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/776 **13 / მარტი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს საფინანსო-ეკონომუკური
დეპარტამენტის უფროსს, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

ცენტრის 2020 წლის 12 მარტის ##06/744 წერილთან დაკავშირებით დამატებით მოგახსენებთ რომ, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრმა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადებასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება თერმოციკლერის (რეალურ დროში პჯრ სისტემა IVD სერტიფიცირებით/რეალურ დროში პჯრ სისტემა სამეცნიერო კვლევებისათვის) აპარატურის შესაძენად. ასევე ცენტრში მიმდინარეობს ახალი ინსინერატორის (ნარჩენების თერმული გაუვნებელყოფის საამქრო) დამონტაჟება, რაზეც განხორციელდა სათანადო შესყიდვის პროცედურები და გაფორმებულ იქნა კონტრაქტი. კონტრაქტის შესაბამისად სამუშაოების შემსრულებელმა მოითხოვა საავანსო თანხის ჩარიცხვა, გარდა აღნიშნულისა იმუნიზაციისა და საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებული ვალდებულების ასანაზღაურებლად, საჭიროა მიმდინარე კვარტალში და შესაბამის მუხლში დამატებითი რესურსი.

აღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად საჭიროა როგორც „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვისა“ (პროგრმაული კოდი 27 01 03), იმუნიზაციის (პროგრამული კოდი 27 03 02 02) და საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებული ვალდებულების ასანაზღაურებლად და იმუნიზაციის (პროგრამული კოდი 27 03 02 07 03), სახელმწიფო პროგრამებში განხორციელდეს დამტკიცებულ გეგმაში სათანადო ცვლილება დანართის შესაბამისად.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და დაგვრთოთ ნება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“31-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განხორციელდეს დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება დანართის შესაბამისად.

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ტარიელ ჭანტურიძე